ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 8
09/02/2018

8-08-4-201802091752

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი დანართი 1 შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმა დანართი 2 შესაბამისად.

მუხლი 3.

განისაზღვროს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლით სამშენებლო სამართალდარღვევის

საქმისწარმოებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი დანართი 3 შესაბამისად.

მუხლი 4.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-2, მე-5 და მე-13 ნაწილების შესაბამისად, დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მითითების, შემოწმების აქტისა და უწყების ფორმები 4, 5, 6 დანართების შესაბამისად.

მუხლი 5.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ შემოწმების აქტის ფორმა დანართი 7 შესაბამისად.

მუხლი 6.

ამ დადგენილების კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №38 დადგენილება.

მუხლი 7.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა